ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97250216**
თარიღი: **21/01/2025**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 16 დეკემბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა სოფ. ლექსურის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, განცხადების თანახმად სოფლის თავში არსებულ სასაფლაოებს - სადაც არის ლამარია ღვთისმშობლის მოქმედი ტაძარი და დასახლებულ ტერიტორიას შორის ჩამოედინება ღელე , რომელიც უამინდობის დროს მასიურად დიდდება, გადმოდის კალაპოტიდან და მოედინება სოფლის გზაზე, რის შედეგადაც ივსება სოფლის სანიაღვრე არხი და წყალი შედის მოსახლეობის ეზოებში.

განცხადებაში აღნიშნული ლოკაცია ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის, თავმჯდომარის მოადგილის მევლუდ ლიპარტელიანის, დ. ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ქურასბედიანის მიერ. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის მიზნით სასაფლაოების მიმდებარედ ღელის მარცხენა სანაპიროზე მოსახლეობისთვის და საეკლესიო ღონისძიებაში მონაწილე პირებისთვის ნიადაგის გასწორებით გაკეთდება ავტო-ტრანსპორტის დასაყენებელი ადგილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ გადაწყვიტა ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს , დაევალოს შესაბამის სამსახურს დეტალურად შეისწავლოს სიტუაცია და შესაძლებლობის ფარგლებში გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

(განცხადება თან ერთვის)

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი